ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
თევდორე ისაკაძის

ანგარიში

2020 წლის 1 ნოემბრიდან 2021 წლის 19 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ 2017 წლის 14 ნოემბრიდან გახლავართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს წევრი. საანგარიშო პერიოდში ვიკავებდი საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ასევე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობებს, ამავდროულად ვიყავი შემდეგი ფრაქციისა და კომისიების წევრი:

- სატრანსპორტო საკითხთა კომისია.
- ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია;
- ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“;

როგორც საკრებულოს წევრი, კანონმდებლობის შესაბამისად, ვასრულებდი ჩემს უფლება-მოვალეობებს: აქტიურად ვიყავი ჩართული საკრებულოს მუშაობის პროცესში, ვესწრებოდი სხვადასხვა სხდომასა და სამუშაო შეხვედრას.

საანგარიშო პერიოდში მოწვეულ იქნა ბიუროს 25, ხოლო საკრებულოს 22 სხდომა; სულ 111 დადგენილება და 547 განკარგულება იქნა მიღებული.

საკრებულოს კომპეტენციის ფარგლებში, ქალაქის აღმასრულებელ ორგანოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, განხილულ და დამტკიცებულ იქნა სხვადასხვა მიმართულებით დედაქალაქისათვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული არაერთი საკითხი.

ზემოაღნიშნულ პერიოდში:

1. სატრანსპორტო კომისიის მიერ გამართულ იქნა 20 სხდომა, სულ განხილულია 60 საკითხი;
2. ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიამ სულ გამართა 22 სხდომა, რომლის ფარგლებშიც კომისიამ განიხილა სულ 266 საკითხი;
3. ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს მიერ ჩატარებულია 16 სხდომა, სულ განხილულია 25 საკითხი.

წლის განმავლობაში, ჩართული გახლდით დედაქალაქის 2021 წლის ბიუჯეტის განხილვა/დამტკიცებასა და კორექტირების პროცესში, რომელიც ქალაქისა და მოსახლეობის საჭიროებებისა და პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირად განისაზღვრა:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- განათლება;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება;
- ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.

სატრანსპორტო საკითხთა კომისია

საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისია დედაქალაქის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან კოორდინაციით აქტიურად მუშაობს ქალაქის ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაზე.

კომისიამ საანგარიშო პერიოდში გამართა 20 სხდომა და განხილულ იქნა 60 საკითხი. მე, როგორც კომისიის თავმჯდომარე და შემდეგ უკვე, როგორც ამავე კომისიის წევრი, მონაწილეობას ვიღებდი დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესწავლასა და კომისიის მუშაობის ფორმატით დადგენილ სხვა აქტივობებში.

კომისიის სხდომებზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხს შორის აღსანიშნავია შემდეგი:

- **თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

მოგეხსენებათ, რომ 2020 წლის 24 ოქტომბრიდან ამოქმედდა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემა და მასში ჩართული ავტობუსებით დაიწყო მგზავრთა გადაყვანა.

სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემაში ჩართული M3 კატეგორიის ავტობუსებით მოსარგებლე მგზავრები სარგებლობენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებით დამტკიცებული უფასო და შეღავათიანი მგზავრობის უფლებით და ფასდაკლების სისტემით;

წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფი ერთი მიმართულებით შემცირდა და ნაცვლად 1,0 ლარისა განისაზღვრა 0,5 ლარით. ასევე, საბაგირო გზა ,,უნივერსიტეტი-ბაგები“ ჩაერთო სამგზავრო გადაყვანის მომსახურეობის ინტეგრირებულ სისტემაში;

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №40-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

გამომდინარე იქიდან, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტობუსებისათვის ილია ჭავჭავაძის გამზირზე და გლდანის რაიონში, ომარ ხიზანიშვილის და ილია ვეკუას ქუჩებზე შეიცვალა მოძრაობის ორგანიზება, ილია ჭავჭავაძის გამზირზე გზის შუა ნაწილში, სატრანსპორტო მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით გამოიყო სპეციალური ზოლები. რაც შეეხება ომარ ხიზანიშვილის და ილია ვეკუას ქუჩებს, ამ ქუჩებზე საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტობუსებისათვის მოძრაობა განისაზღვრა სატრანსპორტო მოძრაობის საწინააღმდეგოდ და შესაბამისად გამოიყო სპეციალური ზოლები. განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ავტობუსის გაჩერებების ამჟამად დამისამართებული ადგილების ცვლილება, ზოგიერთის გაუქმება და ახლის განსაზღვრა, ასევე შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა;

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

ცვლილება შეეხო საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტებსა და მათ განრიგში შესაბამისი კორექტივების შეტანას. განხორციელდა ზოგიერთი მარშრუტის დაგრძელება, ზოგიერთ მარშრუტზე შეიცვალა ინტერვალები, მარშრუტზე ჩართული მინიმალური რაოდენობა და ა.შ.

ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულია 45 მარშრუტი და 300 ერთეული მიკროავტობუსი.

1 აპრილიდან ინტეგრირებულ ქსელში ჩართული მიკროავტობუსიდან ავტობუსში ან მეტროში და პირიქით, 90 წუთის განმავლობაში გადაჯდომა გახდა უფასო. ამასთან,

ავტობუსში და მეტროში სტუდენტებზე, მოსწავლეებზე, მასწავლებლებზე, სოციალურად დაუცველებზე, ვეტერანებზე მოქმედი შეღავათიანი ტარიფი მიკროავტობუსებშიც ვრცელდება;

- ზონალურ-საათობრივი პარკირების პროგრამა

მოგეხსენებათ, ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა ხელს უწყობს საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების წახალისებას და ამავდროულად, ადგილობრივი მოსახლეობისთვის პარკირების სივრცეს უზრუნველყოფს. ამ მიმართულებით ზონალურ-საათობრივი პარკირების პროგრამას კიდევ 702 საპარკინგე ადგილი შეემატება;

პარკირების საფასური საცხოვრებელი ადგილის მიმდებარედ გაჩერებულ საშუალებას, ელექტრომობილების მფლობელებსა და შშმ. პირებისთვის განკუთვნილ საპარკირე სივრცეს არ ეხება, სხვა დანარჩენ შემთხვევაში, პარკირება ერთი საათის განმავლობაში 1 ლარი ,. ხოლო, პარკირების პირველი 15 წუთი უფასოა;

- **თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის 2021-2023 წლების განვითარების პროგრამა**

მნიშვნელოვანია აღინიშნოს თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის 2021–2023 წლების განვითარების პროგრამის დამტკიცება.
პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა: სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 კატეგორიის ავტობუსებით მგზავრობის ფასის დადგენა 50 თეთრის ოდენობით; საზოგადოებრივი ტრანსპორტის (M3 კატეგორიის ავტობუსი და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) უფასო გადაჯდომის არსებულ სისტემაში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 კატეგორიის ავტობუსების ჩართვის უზრუნველყოფა; საზოგადოებრივ ტრანსპორტში (M3 კატეგორიის ავტობუსი და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) არსებული შეღავათიანი მგზავრობის პირობების გავრცელება სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ M2 კატეგორიის ავტობუსებში; ტენდერის გამოცხადება 8-მეტრიანი 180 ერთეული M3 კატეგორიის ავტობუსის შესყიდვაზე; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვების მფლობელების მიერ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ უკვე

შესყიდული 300 ერთეული M2 კატეგორიის ავტობუსის გამოსყიდვის უზრუნველყოფა; ტენდერის გამოცხადება 18-მეტრიანი M3 კატეგორიის 200 ერთეული ავტობუსის შესყიდვაზე; 8- მეტრიანი არანაკლებ 50 ერთეული M3 კატეგორიის ავტობუსის მიღების უზრუნველყოფა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვების მფლობელების მიერ დამატებით 400 ერთეული M2 კატეგორიის ახალი ავტობუსის 3 შესყიდვა და მიღების უზრუნველყოფა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ 300 ერთეული M2 კატეგორიის ახალი ავტობუსის შესყიდვა და მიღების უზრუნველყოფა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვების მფლობელებისთვის გადაცემა; 8-მეტრიანი 130 ერთეული M3 კატეგორიის ავტობუსის მიღების უზრუნველყოფა; 1 ერთეული M3 კატეგორიის ავტობუსების არსებული ავტობაზის რეაბილიტაცია; 1 ერთეული M3 კატეგორიის ავტობუსების ახალი ავტობაზის მშენებლობა; 18-მეტრიანი M3 კატეგორიის 200 ერთეული ავტობუსის მიღების უზრუნველყოფა; მგზავრობის ვადიანი აბონემენტების დანერგვა და ამოქმედება, მგზავრთა გადაყვანის ახალი ქსელის სრულად ამოქმედება

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები უზრუნველყოფენ თბილისის სატრანსპორტო სისტემის გამართულ ფუნქციონირებას და მგზავრთა სწრაფ, კომფორტულ, ხარისხიან, უსაფრთხო მობილობას;

სატრანსპორტო სისტემის ინტეგრირების უზრუნველყოფის და ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარების კუთხით სატრანსპორტო საკითხთა კომისია ჩართული იყო დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განხილვაში;

<u>ურბანული განვითარების და საქალაქო მეურნეობის კომისია</u>

კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა 22 სხდომა, განხილულია დღის წესრიგით გათვალისწინებული 266 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილ იქნა ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტი ს#39-18 დადგენილებაში

განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 434 ცვლილება, დამატებითი შესწავლის მიზნით გადაიდო 14 ზონალური ცვლილება, უარი ეთქვა 4 ზონალურ ცვლილებას;

ამას გარდა, განხილული და დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 137 პროექტი (აქედან უარი ეთქვა 1 პროექტს, გადაიდო 1 პროექტი);

კომისიის სხდომაზე ასევე განხილულ/შესწავლილ იქნება სხვა დამატებითი ინდივიდუალური და ნორმატიული აქტების 124 პროექტი.

როგორც კომისიის წევრი, ჩართული გახლდით ზემოთხსენებული საკითხების ინდივიდუალური შესწავლის პროცესში, კომისიის სხდომებსა და სხვადასხვა აქტივობებში.

ურბანული განვითარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე განხილული, დღის წესრიგით გათვალისწინებული, მრავალი საკითხიდან აღსანიშნავია რამდენიმე საკვანძო საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული სამუშაოები და მიღებული გადაწყვეტილებები:

თბილისში არსებული დაუსრულებელი მშენებლობების დასრულების მიზნით, ხელშემწყობი ღონისძიებების თვალსაზრისით, „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ მიერ ყველა დაუსრულებელი ობიექტის მიმართ, სამშენებლო პროცესის დასრულებისთვის აუცილებელი ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება, კერძოდ, შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის“ ყველა დაუსრულებელ ობიექტთან დაკავშირებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების შედეგად, საცხოვრებელი ფართით ყველა დაზარალებული ოჯახი დაკმაყოფილდება;
აღსანიშნავია ასევე, „აქსის გრუპის“ პროექტი, რომელსაც 502 დაზარალებული ჰყავს.
გარდა ამისა, დამტკიცდა დედაქალაქში დაუსრულებელი მშენებლობების დასრულების მიზნით, რამდენიმე მისამართზე დაინტერესებული პირის -,,აქსისი პალასი''-ს მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებები;

მიმდინარე წელს მნიშნელოვანი ცვლილებები განხორციელდა დედაქალაქის მდგრადი ურბანული განვითარების პოლიტიკისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის თვალსაზრისით;

საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა არაერთი საკითხი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში შესატან ცვლილებებზე;

ქალაქის ურბანული განვითარება დედაქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, ამ მიმართულებით აღსანიშნავია ისეთი წინგადადგმული ნაბიჯები,

როგორიცაა, განაშენიანების გეგმარების ახალი სტანდარტი, რომლის ფარგლებში მიმდინარეობს ტრანსპორტის კვლევა;

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

ჩემს მიერ წინამდებარე ანგარიშის სხვადასხვა ნაწილში წარმოდგენილი საკითხები, რაც დედაქალაქის საკრებულოს სხდომაზე განვიხილეთ, ცხადია, გათვალისწინებული გახლდათ ასევე ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს სხდომათა დღის წესრიგში.

საანგარიშო პერიოდში სულ გაიმართა 16 სხდომა და განხილულ იქნა 25 საკითხი.

კანონმდებლობისა და ჩემი კომპეტენციის, ასევე, პანდემიის პირობებში მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით ჩართული ვიყავი სხვადასხვა სამსახურებრივ და საზოგადოებრივ აქტივობაში. დავესწარი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მიერ ინიცირებულ სამუშაო შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებს.

მჭიდროდ ვითანამშრომლე სათანადო სახელმწიფო ინსტიტუტებთან და ასევე, საკრებულოს კომისიებთან, მათი კომპეტენციის სფეროს შესაბამისი საკითხებით დაინტერესებული მოქალაქეებისთვის კოორდინირებული კონსულტაციის გაწევის მიზნით.

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

თევდორე ისაკაძე

19.09.2021